



საქართველო
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის
მერია



2800

ქ. ლანჩხუთი კოსტავას ქ. N37

Lanchkhuti@yahoo.com

N 4351

04/09/2019

4351-09-2-201909041748



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარეს ბატონ ბესიკ ტაბიძეს

ბატონო ბესიკ,

საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი“ 43-ე მუხლის მე-3 ნაწილისა და „სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქმშენებლობითი გეგმების შემუშავების წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 3 ივნისის NN260 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, შესათანხმებლად წარმოგიდგენთ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სუფსის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე მიწის ნაკვეთის განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავების თაობაზე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტს.

პროექტი მომზადებულია მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის მოხსენებითი ბარათების საფუძველზე იურიდიული სამსახურის მიერ. პროექტის განხილვისას მომხსენებლად წარმოგიდგენთ სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის სივრცითი მოწყობის განყოფილების უფროსის ალექო კირვალიძის კანდიდატურას. პროექტის მიღება მიზანშეწონილად მიგვაჩნია საკრებულოს უახლოეს სხდომაზე.

გთხოვთ, თქვენს თანხმობას.

პატივისცემით,

ბიძინა იმნაიშვილი

მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელი
ხელმძღვანელობა



N 1680

30/08/2019

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერს

ბატონ ალექსანდრე სარიშვილს

სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის

სამსახურის უფროსის ლევან ჩხაიძის

მოხსენებითი ბარათი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიას განცხადებით მომართა მოქალაქე მალხაზ ქამადაძემ, რომელიც აღნიშნავს, რომ თანასაკუთრებაში გააჩნია ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ სუფსაში მიწის ნაკვეთი (ს/კ 27.15.46.111 ფართობი 5206 კვ.მ.) აღნიშნულ ტერიტორიაზე დაგეგმილი აქვს სასტუმრო კომპლექსის მშენებლობა და ტერიტორიის ამ მიმართულებით განვითარების მიზნით დაინტერესებული პირი შემოდის ინიციატივით განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავების თაობაზე.

საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის 43-ე მუხლის თანახმად თუ ტერიტორიისთვის გენერალური გეგმა არ არსებობს განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავების თაობაზე შესაბამისი მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს გადაწყვეტილება უნდა შეთანხმდეს იმავე მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.

გთხოვთ დაავალოთ შესაბამის სამსახურს საკრებულოში წარსადგენი პროექტის მომზადება

ლევან ჩხაიძე



პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი
სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახური

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №

2019 წლის სექტემბერი

ქ. ლანჩხუთი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სუფსის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე მიწის ნაკვეთის განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავების თაობაზე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი“ 43-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად:

მუხლი 1. მიეცეს თანხმობა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მიიღოს გადაწყვეტილება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სუფსის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე მიწის ნაკვეთის (ს/კ 27.15.46.111; 5203 კვ.მ.) განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავების თაობაზე.

მუხლი 2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. N14 მისი ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-8 თავის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად;

მუხლი 3. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

ბესიკ ტაბიძე

საქართველო
სანოტარო აქტი

ორი ათას ცხრამეტი წლის სამ სექტემბერს მე, ნოტარიუს დარეჯან ახალბედაშვილს, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ თბილისი, ქუჩა მტკვარი, №6, სართული 1, მომმართა მანანა ბოლქვაძემ მან განაცხადა, რომ სურს გასცეს მინდობილობა მალხაზ ქამადაძეს სახელზე. მე შევამოწმე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის სურს გასცეს მინდობილობა მალხაზ ქამადაძეს სახელზე. მე შევამოწმე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად მანანა ბოლქვაძემ (დაბ. 03.04.1969წ, თბილისი, პირადი # 01005004660.) მომმართა. მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. შემდეგ შევადგინე წინამდებარე მინდობილობა, რომლის ტექსტიც მან მოიწონა და ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი მას. გადახდილია საზღაური თანახმად საქართველოს მთავრობის დადგენილებისა "სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობის, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" 2011 წლის 29 დეკემბერი დადგენილება №507 და საგადასახადო კოდექსის 169 მუხლისა, სულ: 13.8 ლ. მათ შორის: მ. 31.7. 10, 00 ლ. + დღგ 1.8 ლ + მ. 39. 1. 2, 00 ლ.

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

17.03.1971 წ. ხულო 3/ნ #

მე, მანანა ბოლქვაძე ამ მინდობილობით უფლებას ვაძლევ მალხაზ ქამადაძეს (დაბ. 61002014280).

იყოს ჩემი წარმომადგენელი მერიაში, არქიტექტურის სამსახურში, დაგეგმარების სამსახურში, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში, ტექნიკური აღრიცხვის არქივში, გამგეობაში, ეკონომიკის სამინისტროში, საკუთრების უფლების აღიარების კომისიაში, იუსტიციის სახლში, სსიპ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, მერიაში, საკრებულოში, გამგეობაში, მუნიციპალიტეტებში, სანოტარო ბიუროში და სხვა კომპეტენტურ ორგანოებში, ჩემს სახელზე არსებულ ნებისმიერ უძრავ ქონებაზე, მათ შორის უძრავ ქონებაზე მდებარე: მუნიციპალიტეტი ლანჩხუთი, სოფელი სუფსა - ს/კ #27.15.46.111 - ნებისმიერი შინაარსის განცხადების წარდგენასთან, ნებისმიერი ნებართვების აღებასთან, არსებული ხარვეზების აღმოფხვრასთან, ნებისმიერი ხარვეზის აღმოფხვრასთან, გეგმის შედგენასთან, ამონაწერის დამზადებასთან, აზომვითი ნახაზების დარეგისტრირებასთან, სამშენებლო პროექტის შედგენასთან, დამტკიცებასთან, მშენებლობის ნებართვასთან, შენობა-ნაგებობების აშენების ნებართვის აღებასთან პროექტის წარდგენასთან, შენობების აშენებასთან და ამონაწერის აღებასთან, ნებისმიერი პროექტის შეტანასთან და დამტკიცებასთან დაკავშირებით, შეადგინოს / გადააკეთოს პროექტი, შეიტანოს პროექტი, მოახდინოს ცვლილებების შეტანა რეგისტრირებულ მონაცემებში, გაასწოროს ხარვეზები, შეუცვალოს სტატუსი, მიანიჭოს ნომერი, ჩემი სახელით წარადგინოს და აიღოს ნებისმიერი დოკუმენტაცია, აწარმოოს ყოველგვარი მოლაპარაკება პროექტთან დაკავშირებით, ატვირთოს ელექტრონული ვერსია, აწარმოოს მშენებლობა, ჩაატაროს სარემონტო სამუშაოები, იყოს წარმომადგენელი სამშენებლო კომპანიებში, დენის კომპანიებში, გაზის კომპანიებში, ენერჯო კომპანიებში, დენის კომპანიებში, დასუფთავების სამსახურში, წყალკანალში, კავშირგაბმულობის კომპანიებში და სხვა კომპეტენტურ ორგანოებში და დაწესებულებებში. დააყენოს მრიცხველები, შეიყვანოს გაზი, წყალი, დენი, კომუნიკაციები, ინტერნეტი, შეასწოროს ხარვეზი, რა, დროსაც ჩემი სახელით ხელი მოაწეროს და შესარულოს ყველა ის მოქმედება, რაც დაკავშირებულია აღნიშნული დავალების შესრულებასთან (გასხვისების უფლების გარეშე). ეს მინდობილობა შედგენილია სამ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება ჩემს სანოტარო არქივში.

მინდობილობა გაცემულია სხვა პირებზე გადანდობის უფლების გარეშე.

მინდობილობა გაცემულია ერთი წლის ვადით.

საკუთრების მიმნდობს წავუკითხე ეს მინდობილობა და განვუმარტე მისი შინაარსი, აგრეთვე: 1. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 56-ე მუხლის მეორე ნაწილი, რომლის თანახმად, თუ წინამდებარე მინდობილობა დადებულია სხვა გარიგების დასაფარად, მაშინ გამოიყენება დაფარული გარიგების მიმართ მოქმედი წესები. 2. საკუთრების მიმნდობს უფლება აქვს ნებისმიერ დროს გააუქმოს ეს მინდობილობა. ეს მინდობილობა დადასტურებულია ჩემს, ნოტარიუს დარეჯან ახალბედაშვილის მიერ, სანოტარო ბიუროში. სანოტარო აქტი ხელმოწერილია ჩემი თანდასწრებით. მინდობილობის გამცემის ქმედუნარიანობა, უფლებაუნარიანობა და პირადობა შემოწმებულია. მიმნდობმა პირადად წაიკითხა ეს მინდობილობა და მოაწერა ხელი..

მუხითხე ვითანხმებ მანანა ბოლქვაძე

ნოტარიუსი:

დ. ახალბედაშვილი



სანოტარო აქტი
საქართველო

ორი ათას ცხრამეტი წლის სამ სექტემბერს, მე, საქართველოს ნოტარიუსს დავით იმნაძეს, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, ვახტანგ გორგასლის ქ. №49, მომმართა: ნუზუარ შანიძემ და მოითხოვა მინდობილობის შედგენა და მისი სანოტარო წესით დამოწმება.

მე შევამოწმე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამ. მოწმობით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად: ნუზუარ შანიძემ (დაბ. 10.06.1986 წ. ადიგენში, საქართველოს მოქალაქის პასპორტი №09AR32024, გაც. 30.12.2019 წ. პ.№03001004195, მისი განცხადებით მცხ: ქ. თბილისი, შუამთის ქ. კორ "ბ", ბინა №45) მომმართა. მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. შემდეგ შევადგინე წინამდებარე მინდობილობა, რომელიც მოიწონა ნუზუარ შანიძემ და ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი მას.

მინდობილობა

„მინდობილობის ბამცეში“:

= ნუზუარ შანიძემ (დაბ. 10.06.1986 წ. ადიგენში, საქართველოს მოქალაქის პასპორტი №09AR32024, გაც. 30.12.2019 წ. პ.№03001004195, მისი განცხადებით მცხ: ქ. თბილისი, შუამთის ქ. კორ "ბ", ბინა №45)

„მინდობილობის მიმღებ“-ს:

- მაღზაზ ქამადაძეს (დაბ. 17.03.1971 წ. ხულოში, პ.№61002014280, მის. ბათუმი ფიროსმანის ქ. N 6 ბ. 1)

ანიჭებს შემდეგ უფლებამოსილებას:

- "მინდობილობის მიმღები" უფლებამოსილია იყოს "მინდობილობის ბამცეში"-ს წარმომადგენელი ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიაში და საკრებულოში, მის დაქვემდებარებაში არსებულ სამსახურებში, წარმოადგინოს და მიიღოს ნებისმიერი დოკუმენტი, ხელი მოაწეროს ყველა საჭირო საბუთს, ჩააბაროს ან/და მიიღოს ნებისმიერი სახის დოკუმენტი, განცხადება და შეასრულოს ყველა ის მოქმედება, რაც დაკავშირებული იქნება ამ მინდობილობით გათვალისწინებული დავალების შესრულებასთან.
- მინდობილობა ბაცემშლია განსაზღვრული ვადით და კალაშია 2019 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით. ეს მინდობილობა ძალაში შედის მასზე ხელმოწერისა და მისი სანოტარო წესით დამოწმებისთანავე.

წინამდებარე მინდობილობა შედგენილია ქართულ ენაზე სამ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლიარად, რომელთაგან ერთი ინახება საქართველოს ნოტარიუსის დავით იმნაძის სანოტარო არქივში, ხოლო ორი გადაეცა „მინდობილობის ბამცემს“.


სანოტარო მომსახურების საზღაური 10,00 /ათი/ ლარი, თანახმად სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობის, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის დადგენილების (29 დეკემბერი 2011 წელი, დადგენილება №507) 31-ე მუხლისა. აგრეთვე დღგ: (1,80) ერთი ლარი და ოთხმოცი თეთრი, თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსი, მუხლი 169-ე მუხლისა. პლიუს: 2,00 (ორი) ლარი (დღგ-ს ჩათვლით) ელექტრონულ სანოტარო რეესტრში სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის საფასური, თანახმად სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობის, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის დადგენილების (29 დეკემბერი 2011 წელი, დადგენილება №507) 39-ე მუხლისა. სულ (13,80) ცამეტი ლარი და ოთხმოცი თეთრი.

მინდობილობის ბამცეში: _____

ნუზუარ შანიძე

ნოტარიუსი

დ. იმნაძე



სანოტარო აქტი
საქართველო

ორი ათას ცხრამეტი წლის სამ სექტემბერს, მე, საქართველოს ნოტარიუსს დავით იმნაძეს, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, ვახტანგ გორგასლის ქ. №49, მომმართა: მინური აბულაძემ და მოითხოვა მინდობილობის შედგენა და მისი სანოტარო წესით დამოწმება.

მე შევამოწმე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამ. მოწმობით და დაერწმუნდი, რომ მე ნამდვილად: მინური აბულაძემ (დაბ. 12.10.1972 წ. ხულოში, პ.№61009000931, მის: ხულო ს. შურმული მე-4 I ჩიხი N 5) მომმართა. მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. შემდეგ შევადგინე წინამდებარე მინდობილობა, რომელიც მოიწონა მინური აბულაძემ და ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი მას.

მინდობილობა

„მინდობილობის ბამცემი“:

— მინური აბულაძემ (დაბ. 12.10.1972 წ. ხულოში, პ.№61009000931, მის: ხულო ს. შურმული მე-4 I ჩიხი N 5)

„მინდობილობის მიმღებ“-ს:

— მაღნაზ ძამაღაძეს (დაბ. 17.03.1971 წ. ხულოში, პ.№61002014280, მის. ბათუმი ფიროსმანის ქ. N 6 ბ. 1)

ანიჭებს შემდეგ უფლებამოსილებას:

- "მინდობილობის მიმღები" უფლებამოსილია იყოს "მინდობილობის ბამცემი"-ს წარმომადგენელი ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიაში და საკრებულოში, მის დაქვემდებარებაში არსებულ სამსახურებში, წარმოადგინოს და მიიღოს ნებისმიერი დოკუმენტი, ხელი მოაწეროს ყველა საჭირო საბუთს, ჩააბაროს ან/და მიიღოს ნებისმიერი სახის დოკუმენტი, განცხადება და შეასრულოს ყველა ის მოქმედება, რაც დაკავშირებული იქნება ამ მინდობილობით გათვალისწინებული დავალების შესრულებასთან.
- მინდობილობა ბაცემულია განსაზღვრული ვადით და ძალაშია 2019 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით. ეს მინდობილობა ძალაში შედის მასზე ხელმოწერისა და მისი სანოტარო წესით დამოწმებისთანავე.

წინამდებარე მინდობილობა შედგენილია ქართულ ენაზე სამ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება საქართველოს ნოტარიუსის დავით იმნაძის სანოტარო არქივში, ხოლო ორი გადაეცა „მინდობილობის ბამცემს“.

სანოტარო მომსახურების საზღაური 10,00 /ათი/ ლარი, თანახმად სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობის, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის დადგენილების (29 დეკემბერი 2011 წელი, დადგენილება №507) 31-ე მუხლისა. აგრეთვე დღგ: (1,80) ერთი ლარი და ოთხმოცი თეთრი, თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსი, მუხლი 169-ე მუხლისა. პლიუს: 2.00 (ორი) ლარი (დღგ-ს ჩათვლით) ელექტრონულ სანოტარო რეესტრში-სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის საფასური, თანახმად სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობის, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის დადგენილების (29 დეკემბერი 2011 წელი, დადგენილება №507) 39-ე მუხლისა. სულ (13,80) ცამეტი ლარი და ოთხმოცი თეთრი.

მინდობილობის ბამცემი: _____

მინური აბულაძე

ნოტარიუსი

დ. იმნაძე

